ოჯახში ძალადობა და მისი სისხლისსამართლებირვი დაცვის მექანიზმები

ლელა მეტრეველი
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

მიზანი - კვლევის მიზანია ფართოდ გაშუქდეს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'' არსებული სამართლებრივი პრობლემები და მისი შესაძლო გადაჭრის გზები. სტრუქტურა/ მეთოდოლოგია/მიდომა/ - კვლევის თეორიული საფუძვლებსა და ინფორმაციულ ბაზას შეადგენს ქართველ და უცხოელ ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევები, სტატიები, ინტერნეტ საიტებზე არსებული ინფორმაცია. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, ლოგიკური, შედარებით - სამართლებრივი, სოციოლოგიური მეთოდი. სტატისტიკური მეთოდი, რომლის საფუძველზეც შესწავლილ იქნა განსახილველი (ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი) დანაშაულის რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლები და განხორციელდა შედარებით - სამართლებრივი ანალიზი.

დასკვნები - შევიმუშაოთ და დავნერგოთ სისხლისსამართლებრივი დაცვის მექანიზმები, რომელიც დაკავშირებულია მსხვერპლთა ინტერესების დაცვასთან და მის უფლება-მოვალეობებთან. მოძალადის დასჯა მიზნად უნდა ისახავდეს ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ემსახურებოდეს დაზარალებულის (მსხვერპლის) ინტერესებს და სამართლიანობის აღდგენას.

კვლევის შეზღუდვები(ხარვეზები) გავლენა - კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს, ოჯახში ძალადობის ფაქტების გაცხადება ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მიერ. მოცემულ სამართლებრივ გარემოში მნიშვნელოვნადაა შეზღუდული ქალთა დაცვისა და მოძალადე მამაკაცთა დასჯის სამართლებრივი მექანიზმები, რაც სათანადო რეაგირებას მოითხოვს სახელმწიფოსგან.

სიახლე/ღირებულება - ოჯახში ძალადობის საკითხი აქტუალურია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ოჯახში არსებული პრობლემა მხოლოდ ოჯახის წევრს არ აზიანებს და ძალადობა აუცილებლად უნდა აღიკვეთოს.